

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: არაიურიდიული პროფილის სავალდებულო კომპონენტები 60 ECTS; იურიდიული პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები 127 ECTS; სამართლის ასარჩევი მიმართულებებით კონცენტრირებული სავალდებულო სასწავლო კურსები 53 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თანამედროვე საზოგადოების წინსვლა სულ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული სამართალზე, რის გამოც დღით-დღე იზრდება კვალიფიციური იურისტის პროფესიაზე მოთხოვნა. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესატყვის საბაზო, პრაქტიკასა და თეორიაში გამოსადეგი, უმაღლესი იურიდიულ განათლების მიცემა. რაც ძირითადად ითვალისწინებს: <ul style="list-style-type: none"> • სამართლის ძირითადი საკითხების, მეთოდებისა და მათი გამოვლენა-გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლება-გამომუშავებას; • მსოფლიო სამართლებრივი სისტემების საფუძვლების, ხოლო საერთაშორისო სამართლის და ქართული საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სიღრმისეული სწავლებას; • სამართლებრივ აქტებზე მუშაობის (კითხვა, გაგება/გააზრება, იერარქიის განსაზღვრა, გამოყენება) მეთოდების დაუფლებას;
სწავლის შედეგები	კურსდამთავრებულს ექნება ეროვნული და მსოფლიო სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა; სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი; კურსდამთავრებული შეძლებს გარკვეული მითითების შესაბამისად იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას; ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიებას, დამუშავებას და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემას; კურსდამთავრებული გააცნობიერებს სამართლის არსსა და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში. კურსდამთავრებული მოწოდებული იქნება ინდივიდთა უფლებების განხორციელების ხელშეწყობისთვის და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედებისთვის.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან ჯაკელი , ასოცირებული პროფესორი ტელ: 577 78 66 22 e-mail: L.jakeli@bsu.edu.ge